

სს „საქართველოს რკინიგზის“
დირექტორთა საბჭოს
დადგენილება

№30/50 2016 წლის 29 ნოემბერი ქ. თბილისი

„სატვირთო გადაზიდვების ტარიფები და დამატებითი საფასურები“-ს ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ.

1. დამტკიცდეს „სატვირთო გადაზიდვების ტარიფები და დამატებითი საფასურები“ თანდართული რედაქციით (დანართი N1) და შესაბამისად, 2017 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს სს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოს 2011 წლის 23 დეკემბრის N1/48 დადგენილებით დამტკიცებული „სატვირთო გადაზიდვების ტარიფები და დამატებითი საფასურები“.

2. დამტკიცებული „სატვირთო გადაზიდვების ტარიფები და დამატებითი საფასურები“-ს მუხლი V.-ის მე-16, 35-ე და 36-ე პუნქტები ძალაში შედის 2016 წლის 1 დეკემბრიდან, ხოლო აღნიშნული დოკუმენტის სხვა დებულებები - 2017 წლის 1 იანვრიდან.

3. სს „საქართველოს რკინიგზის“ ოპერაციათა მართვის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამსახურმა (ლ.გოგოლაძე) 2016 წლის 10 დეკემბრამდე უზრუნველყოს „სატვირთო გადაზიდვების ტარიფები და დამატებითი საფასურები (2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)“ თარგმნა რუსულ და ინგლისურ ენებზე.

4. სს „საქართველოს რკინიგზის“ ოპერაციათა მართვის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამსახურმა 2016 წლის 15 დეკემბრამდე უზრუნველყოს ბროშურის „სატვირთო გადაზიდვების ტარიფები და დამატებითი საფასურები (2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)“ გამოცემა: ქართულ ენაზე - 150 ეგზემპლარი, რუსულ ენაზე - 30 ეგზემპლარი, ინგლისურ ენაზე - 30 ეგზემპლარი.

5. სს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ „საქართველოს რკინიგზის სატვირთო გადაზიდვების ფილიალის“ კომერციულმა დეპარტამენტმა დაუზღავნოს ბროშურები რკინიგზის სადგურებს, შესაბამის დეპარტამენტებს, სამსახურებს, დაინტერესებულ მხარეებს.

6. სს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალმა „ვორლდ ბიზნეს სოლუშენს“-ი (ლ.კუკავა) უზრუნველყოს შესაბამისი ცვლილებების შეტანა ბილინგის ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

7. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე განახორციელოს სს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ „საქართველოს რკინიგზის სატვირთო გადაზიდვების ფილიალის“ დირექტორის მოადგილემ კომერციისა და მარკეტინგის დარგში (თ.ტვილდიანი).

დირექტორთა საბჭოს
თავმჯდომარე



მ.ზახტაძე